

სსიპ შემოსავლების სამსახური

მეთოდური მითითება

„დებიტორული დავალიანების შესახებ“



თბილისი
2025 წელი

სარჩევი	2
მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი.....	3
მუხლი 2. გამოყენების ვალდებულება და კონტროლი.....	3
მუხლი 3. ძირითადი პრინციპები	3
მუხლი 4. არარეზიდენტები	4
მუხლი 5. არსებობა და დამაჯერებლობა	4
მუხლი 6. დასკვნითი დებულებები.....	5

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. „დებიტორული დავალიანების შესახებ“ წინამდებარე მეთოდური მითითება (შემდგომში - მეთოდური მითითება) არეგულირებს საგადასახადო შემოწმების ფარგლებში გადასახადის გადამხდელის მიერ არარეზიდენტი პირისთვის საქონლის მიწოდებიდან/მომსახურების გაწევიდან წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებებთან ან/და გადახდილ ავანსებთან დაკავშირებით შესაძლო საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრას.

2. წინამდებარე მეთოდური მითითება ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.

3. ამ მეთოდური მითითების მიზანია საგადასახადო შემოწმების ფარგლებში საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის დებიტორულ დავალიანებებთან ან/და გადახდილ ავანსებთან დაკავშირებით შესაძლო საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის ერთიანი მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა.

მუხლი 2. გამოყენების ვალდებულება და კონტროლი

1. ამ მეთოდური მითითების გამოყენება ევალებათ აუდიტორებს, საგადასახადო შემოწმების ფარგლებში, ხოლო, მისი სწორად გამოყენების კონტროლი - საგადასახადო შემოწმების განხორციელების უფლებამოსილების მქონე სამმართველოს უფროსებს და მათ მოადგილეებს.

2. ეს მეთოდური მითითება არ გამოიყენება:

ა) 2017 წლამდე, ხოლო სადაზღვევო ორგანიზაციის შემთხვევაში 2024 წლამდე, წარმოშობილი და აუნაზღაურებელი დებიტორული დავალიანების თანხებთან და გადახდილ ავანსებთან მიმართებით;

ბ) შემთხვევებზე, როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ დებიტორული დავალიანების ან/და ავანსის თანხის თაობაზე შესაბამისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების ფაქტი, მათ შორის, საგადასახადო შემოწმების დაწყებამდე სასამართლოსთვის მიმართვა, ასევე, შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, აღსრულების ქვემდებარე აქტის სააღსრულებლო დაწესებულებისთვის წარდგენა.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

ამ მეთოდური მითითების მიზნებისთვის:

ა) დებიტორული დავალიანების ან/და გადახდილი ავანსის იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს პირველადი საგადასახადო დოკუმენტით (ინვოისი, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა და ა.შ.), ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით, საბანკო ამონაწერით, ნაღდი ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტით (ჩეკი, ჩგდ, სალაროს შემოსავლის/გასავლის ორდერი და ა.შ.) და სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაციით;

ბ) გაცემულ ხელფასად განსახილველი თანხების გაანგარიშებისას, სალაროდან სესხის გაცემის, კაპიტალის შემცირების, დივიდენდის განაწილების, ხარჯის გაწევის ან/და სხვა ოპერაცი(ებ)ის ამსახველი დოკუმენტები მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდა საგადასახადო შემოწმებით მოცულ (შესამოწმებელ) პერიოდში და ამავე დროს, შესაბამის ოპერაციაზე სათანადო ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია (სესხის ხელშეკრულება, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ, რომელსაც სარწმუნოდ მიიჩნევს საგადასახადო ორგანო) პირის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილია საგადასახადო შემოწმების დასრულებამდე. ამასთან, შესაბამისი დოკუმენტაციის საგადასახადო შემოწმების დასრულებამდე წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული თანხები შესაძლებელია განხილულ იქნეს კაპიტალის შემცირებად, თუ საწარმოს უფიქსირდება შესაბამისი კაპიტალის რაოდენობა;

გ) ხელფასად დაკვალიფიცირებული თანხები განიხილება ხელზე გაცემულად და შესაბამისად ექვემდებარება „აგროსვას“.

მუხლი 4. არარეზიდენტები

1. საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირისთვის გადახდილი ავანსი დაკვალიფიცირდება, როგორც შესამოწმებელი პერიოდის ბოლოსთვის ამავე საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემული ხელფასი, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

ა) ავანსის გადახდიდან გასულია გონივრული ვადა;

ბ) საგადასახადო შემოწმების დასრულებამდე, საწარმოს არ აქვს მიღებული შესაბამისი საქონელი/მომსახურება;

გ) საგადასახადო შემოწმების დანიშვნის თარიღამდე არ დასტურდება ავანსის უკან დაბრუნება.

2. საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირისთვის საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება ჩაითვლება, როგორც ანაზღაურებული მოთხოვნა და შესამოწმებელი პერიოდის ბოლოსთვის დაკვალიფიცირდება, როგორც ამავე საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემული ხელფასი, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

ა) დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია გონივრული ვადა;

ბ) საგადასახადო შემოწმების დანიშვნის თარიღამდე არ დასტურდება დებიტორული დავალიანების ანაზღაურება;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებულია საქონელი, საგადასახადო შემოწმების დასრულებამდე არ დასტურდება ამავე საქონლის უკან დაბრუნება.

3. ამ მუხლის მიზნებისთვის, გონივრული ვადა შეიძლება იყოს არანაკლებ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვე.

მუხლი 5. არსებითობა და დამაჯერებლობა

1. აუდიტორი უფლებამოსილია, გადახდილი ავანსების ან/და საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებების მიმართ არ განსაზღვროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები (ოპერაციები არ დაუქვემდებაროს კვალიფიკაციის შეცვლას) თუ ამ მეთოდური მითითების შესაბამისად გადაკვალიფიცირებული თანხების ჯამის შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების თანხა არ აღემატება:

ა) მცირე კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 1 000 ლარს;

ბ) საშუალო კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 10 000 ლარს;

გ) მსხვილი კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 100 000 ლარს.

2. აუდიტორი უფლებამოსილია ამ მეთოდური მითითების დებულებების მიუხედავად, ოპერაცია (გადახდილი ავანსი/ანაზღაურებელი დებიტორული დავალიანება) არ დაუქვემდებაროს კვალიფიკაციის შეცვლას სათანადო ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

3. კვალიფიკაციის შეცვლას არ ექვემდებარება დებიტორული დავალიანების ან/და ავანსის ის ნაწილი, რომელიც იმავე შინაარსის ოპერაციებთან მიმართებაში დადგენილი პრაქტიკის ან/და გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, ლოგიკურად/დამაჯერებლად მიიჩნევა მხარეებს შორის საქმიანი ურთიერთობის შემადგენელ აუცილებელ კომპონენტად.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. თუ გადასახადის გადამხდელს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისთვის გადახდილი ავანსი დაბეგრილი აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო საგადასახადო შემოწმების ფარგლებში, აღნიშნული ავანსი დაექვემდებარება ამ მეთოდური მითითების შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას, გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარირებული ამ ოპერაციის შესაბამისი მოგების გადასახადის თანხა საგადასახადო შემოწმების ფარგლებში დაექვემდებარება ჩათვლას იმ საანგარიშო პერიოდში, რომელ პერიოდშიც დაიბეგრება ხელფასის სახით გაცემულად გადაკვალიფიცირებული თანხები.

2. ამ მეთოდური მითითების შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით დაბეგრილი თანხების (ოპერაციების) მიმართ შემდგომში არ წარმოიშობა საგადასახადო ვალდებულებები.

3. თუ შემოწმებით დადგინდა, რომ დებიტორულ დავალიანებად/გადახდილ ავანსად/უიმედო ვალად აღრიცხული თანხები ანაზღაურებულია, აღნიშნული თანხები განხილულ იქნება საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) ანაზღაურების თარიღში გაცემულ ხელფასად.